ქ.თბილისი, გლდანის მასივი, VIII მიკრო რაიონი №8ა-ში

მრავალბინიანი სახლის პროექტის

კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილის

საექსპერტო დასკვნა

04.04.2024 წელი

კორექტირებული პროექტი დამუშავებულია 2024 წელს შპს „ზუმა„-ს მიერ:

- დირექტორი – მ.კვესელავა
- პროექტის მთავარი არქიტექტორი – მ.კვესელავა
- კონსტრუქტორი – ნ.მსხილაძე
- კონსტრუქტორი – თ.მშველიძე

1. შენობა შვიდსართულიანია, სარდაფის გარეშე, ზომებში 16,0X19,4 მ; სართულების სიმაღლე 4,80 და 3,20 მეტრი.
2. პ. 01.05 – 08 პროექტირების ნორმების თანახმად, საპროექტო ობიექტის მშენებლობის ტერიტორიის კლიმატური მახასიათებლები შემდეგია:
   - ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა W_o = 0,75 კპა;
   - თოვლის საფარის წონა – 0,50 კპა
3. სამშენებლო ნორმების და წესების პნ 01.01.09 - ის („სეისმომედეგი მშენებლობა") თანახმად, საცხოვრებელი სახლის სამშენებლო უბანი მდებარეობს, სეისმური საშიშროების მიხედვით, 8(რვა) ბალიან ზონაში.
4. ექსპერტიზაზე წარმოდგენილია შემდეგი საპროექტო დოკუმენტაცია:
   - პროექტის კონსტრუქციული ნაწილის განმარტებითი ბარათი და მასალათა ხარჯის ჯამური უწყისი ფურცელი კ-01;
   - გრაფიკული ნაწილი (ნახაზები) კ-1; კ-40
5. შენობა კონსტრუქციულად გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასულ ვარიანტში:

   5.1 საძირკვლები – მონოლითური რკინაბეტონის ფილა სისქით 90 სმ; საძირკვლების ფუძედ მიღებულია მოყვითალო ფერის თიხები საანგარიშო წინაღობით R_o = 3.0 კგძ/სმ^2

   5.2 კარკასის მზიდი ელემენტები:

   - სვეტები - მონოლითური რკინაბეტონის კვეთით 80X40; 60X40; 100X40 და 40X40 სმ;
   - რიგელები - მონოლითური რკინაბეტონის კვეთით 40X40 სმ.
   - გადახურვა - მონოლითური რკინაბეტონის;
   - კიბე - მონოლითური რკინაბეტონის;
   - სახურავი - ბრტყელი მონოლითური რკინაბეტონის;

- კედლები - წვრილი ბლოკით b = 20სმ, შესაბამისი ანტისეისმური ღონისძიებებით.

5.3 ყველა რკინაბეტონის კონსტრუქციაში მიღებულია B25 კლასის ბეტონი, ხოლო არმატურა A500C და A240C კლასის.

6. შენობის კარკასის მზიდი კონსტრუქციები გაანგარიშებულია როგორც ერთიანი სივრცითი სისტემა დრეკად ფუძეზე. გაანგარიშება ჩატარებულია როგორც საანგარიშო (პირველი ზღვრული მდგომარეობა)., ასევე ნორმატიულ დატვირთვებზე (მეორე ზღვრული მდგომარეობა). შენობა დათვლილია საანგარიშო პროგრამა Lira Sapr 2018 -ში 8 ბალზე.

დასკვნა

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია საქართველოში მოქმედი ნორმებისა და წესების დაცვით მაღალ პროფესიონალურ დონეზე, ხოლო საპროექტო დოკუმენტაცია საკმაო მოცულობით აშუქებს მიღებულ კონსტრუქციულ გადაწყვეტათა საჭიროებას.

შენობის მზიდი კონსტრუქციების ტექნიკური გადაწყვეტა სრულად აკმაყოფილებს ნაგებობის სიმტკიცის და მდგრადობის საიმედოობის მოთხოვნებს.

ქ. თბილისი, გლდანის მასივი, VIII მიკრო რაიონი №8ა - ში მრავალბინიანი სახლის პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება დასამტკიცებლად.

ექსპერტი:

ინჟინერ-კონსტრუქტორი პ.მიქაძე

შპს არქსტუდია „ნიაპი"-ს დირექტორი ვ.ძაგანია